თინათინ ჯიქურაშვილი, ფილოლოგიის მაგისტრი, თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი (ხელმძღვანელი ანა ხარანაული). სხვადასხვა დროს მონაწილეობდა სამეცნიერო პროექტში, რომლებიც ითვალისწისწინებდა ძველი ქართული მანუსკრიპტების, მათ შორის, ბიბლიური წიგნების ხელნაწერების კვლევასა და პუბლიკაციას. 2016 წელს მან მოპოვა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი მაგისტრანტთა კვლევებისათვის (თემა: „ლევიტელთა წიგნის ოშკური ვერსია (ტექსტის დიპოლმატური გამოცემა და გამოკვლევა)“, ასევე, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საკონფერენციო გრანტი პროექტისთვის „გადამწერის შეცდომებიდან ახალ ტექსტებამდე - რატომ შეიძლება შეიცვალოს წმინდა წერილი“, აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომებიც: ოშკის ბიბლიის ავთენტურობის საკითხი პალეოგრაიულ მონაცემბზე დაყრდნობით, ელექტრონულ ჟურნალში „სტუდენტური წელიწდეული – ჰუმანიტარული კვლევები“, ნომერი 1, 2016 წ. გვ. 6-12; ზოგი ზმნიზედური კომპოზიტის ბერძნული შესატყვისები ძველ ქართულ თარგმანებში (თანაშე, შინაგამო, უკუანაწარ), გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში, 2016 წ. გვ. 48-58. იყო რამდენიმე საგრანტო პროექტის მონაწილეც, კერძოდ: ჩართული იყო 2014-2017 წწ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებულ ფუნდამენტური კვლევების საგრანტო პროექტში „გელათის კატენებიანი ბიბლია“- „ლევიტელთა“, „რიცხუთა“, „II სჯული“- ტექსტის დიპლომატური გამოცემა და გამოკვლევა“, დამხმარე პერსონალის სტატუსით (პროექტის ხელმძღვანელი ა. ხარანაული), ხოლო ამჟამად ძირითადი შემსრულებლის სტატუსით მონაწილეობს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ ფუნდამენტური კვლევების საგრანტო პროექტში „იოანეს სახარების ძველი ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტის გამოსაცემად მომზადება“.

თ. ჯიქურაშვილი მონაწილეობს ადგილობრივ და საერთასორისო სამეცნიერო კონფერენციებში: 2017 წ., 23-29 მარტი, მაინის ფრანკფურტი, გერმანია, Goethe University Frankfurt a/M, Cross-National Doctoral School “Digital Humanities”, Qualifying round in Frankfurt a/M, Georgian Versions of Leviticus (Text Edition); 2016 წ., 25 აპრილი, თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კოდიკოლოგიურ-პალეოგრაფიული ძიებანი, ოშკის ბიბლიის ავთენტურობის საკითხი პალეოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით, ანა მაისურაძე, თინათინ ჯიქურაშვილი; 2016 წ., 23 აპრილი, თბილისი, თსუ. ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სამეცნიერო კონფერენცია. ოშკის ბიბლიაში დაცული ლევიტელთა წიგნის სავარაუდო წყაროები, თინათინ ჯიქურაშვილი 4. 2016 წ., 14 აპრილი, თბილისი, თსუ. აკადემიკოს მზექალა შანიძისა დაბადების 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. ბერძნული წინდებულების ეკვივალენტები ლევიტელთა წიგნის ოშკურ ვერსიაში, თინათინ ჯიქურაშვილი

თინათინ ჯიქურაშვილი 2015-დან - დღემდე მუშაობს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ს/ს ინსტუტუტის ძველ ქართულ ხელნაწერთა შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევით ცენტრ „ორიონიში“ ლაბორანტის თანამდებობაზე და აკად. მზ. შანიძის ხელმძღვანელობით გამოსაცემად ამზადებს ოშკის (ათონის) ბიბლიის ტექსტს.